

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

მაღალი თანამდებობის პირების მიერ საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ შესაძლო ანტიკონსტიტუციური შეთქმულებისა და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საკონსტიტუციო შეთანხმების დარღვევის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის თაობაზე

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს, ბოდბელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა ტვ „პირველის“ ეთერში საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური პატრიარქის გადაყენების მცდელობაში დაადანაშაულა. კერძოდ, მეუფეს განცხადებით იგეგმებოდა პატრიარქის ლიკვიდაციისა და მისი საპატრიარქო ტახტიდან გადაყენების საკითხი. აღსანიშნავია, რომ მსგავს შეხვედრებს ხელისუფლების მაღალჩინოსნები სხვა სასულიერო პირებთანაც მართავდნენ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით „სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“ ხოლო საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.“

მეუფე იაკობის ხსენებულ საჯარო განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, ხოლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი/პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია საგამომიებო ორგანოებმა შესაძლოა მიიღონ ზეპირი, წერილობითი შეტყობინებით ან სხვაგვარი საშუალებებით. სხვაგვარი საშუალებები შეიძლება იყოს:

- ინტერნეტში გავრცელებული მასალა
- სატელეფონო შეტყობინება
- მასმედიაში გავრცელებული მასალა
- დანაშაულის ფაქტზე წასწრება
- პირის აღიარებით განცხადება

საქართველოს პროკურატურამ 2019 წლის 1 ნოემბერს გააკეთა განცხადება სადაც აღნიშნა, რომ მეუფე იაკობმა თავისი განცხადება, „პატრიარქის შესაძლო ლიკვიდაციის ნაწილში“, მეორე დღესვე უარყო და განმარტა რომ „თუ განმცხადებელი, გამომძიების დაწყებამდე, თავადვე უარყოფს მის მიერ გავრცელებულ ფაქტებს, სამართალდამცავი ორგანოები ვერ შეაფასებენ ამგვარ უარყოფილ ინფორმაციას, როგორც დანაშაულის ნიშნების შემცველს. პირთა

პოლიტიკური შეხედულებები, მოსაზრებები, ეჭვები, სურვილები თუ სხვა რაიმე შეფასებითი ხასიათის გამონათქვამები სცილდება სამართლებრივი სივრცის ფარგლებს“

პროკურატურის განმარტებით განცხადების მეორე ნაწილი, რომელიც ეხებოდა პატრიარქის საპატრიარქო ტახტიდან გადაყენების საკითხს, „ამ ნაწილშიც მეუფე იაკობის განცხადებები არაერთ უზუსტობასა თუ წინააღმდეგობრივ დებულებებს შეიცავს. მეუფე იაკობის მიერ შეხვედრაზე დამსწრეთა შორის დასახელებულმა პირებმა, (როგორც სასულიერო, ისე საერო პირმა) საჯაროდ კატეგორიულად უარყვეს არა თუ პატრიარქის გადაყენების საკითხის განხილვა რაიმე შეხვედრაზე, არამედ თავად ამგვარი შეხვედრაც კი“

საგულისხმოა, რომ წმინდა სინოდმა 2019 წლის 31 ოქტომბერის სხდომის ოქმში განაჩინა შემდეგი: „წმინდა სინოდმა განიხილა მთავარეპისკოპოს იაკობის (იაკობაშვილი) მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები. მთავარეპისკოპოსმა იაკობმა გამოხატა სინანული თავისი არაკორექტული საჯარო გამოსვლების გამო.“ განჩინების ხსენებული ნაწილი არ ადასტურებს პროკურატურის, მიერ განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს იმის შესახებ რომ მეუფე იაკობმა უარყო მის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პროკურატურამ საკითხზე, რომელიც შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, არ დაიწყო გამოძიება, შესაბამისად აუცილებელია შეიქმნას პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.

პარლამენტის დროებითმა საგამომიებო კომისიამ, უნდა გამოიძიოს და დაადგინოს შემდეგი საკითხები:

- 1) შეისწავლოს საქართველოს არაფორმალური მმართველის ბიძინა ივანიშვილის შესაძლო მონაწილეობა პატრიარქის გადაყენების განზრახვაში;
- 2) საქართველო პრემიერ მინისტრის გიორგი გახარიას და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის და სხვა თანამდებობის პირების შესაძლო მონაწილეობა ხსენებულ პროცესის მომზადებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე პარლამენტის რეგლამენტის 61-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიქმნას მაღალი თანამდებობის პირების მიერ საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ შესაძლო ანტიკონსტიტუციური შეთქმულების, კანონსაწინააღმდეგო ქმედების და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საკონსტიტუციო შეთანხმების დარღვევის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. წინამდებარე დადგენილებაში მითითებული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით შეიქმნას საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.
2. დროებითი საგამომიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 3 თვე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.